წერილის ნომერი: **30-302612182**
თარიღი: **01/05/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 მუხლის, 209^3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილების, საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათსა და პროექტის მიღებიდან გამომდინარე თანმდევ სამართლებრივი აქტის პროექტს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 მარტის N11 განკარგულებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 20 აპრილის NGOV 4 26 000112520 საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე, წარმოგიდგენთ აღნიშნული დადგენილების პროექტის კორექტირებულ ვერსიას და საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების ცვლილების პროექტს. ცვლილება განპირობებულია იმით, რომ წესის თანახმად, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 ნაწილით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე განსაზღვული უფლებამოსილი პირი აღარ იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული საქმის განმხილველი ორგანო, კერძოდ შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ განისაზღვება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. შესაბამისად აღნიშნული ნორმატიული სამართლებრივი აქტის პროექტის მე-6 მუხლით დასამტკიცებელი

საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, როგორც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ენის სისწორის თვალსაზრისით შესათანხმებლად, გადაიგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ასევე გაცნობებეთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შემდგომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდება შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ წესდების ცვლილება და კომპანიისთვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პარკირების სფეროს მართვის, ორგანიზების და ადმინისტრირების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

ასევე საკრებულოს დამატებით განვუმარტავთ პარკირების საფასურის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით შემდეგს:

პარკირების საფასური განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, რაც ითვალისწინებს სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებას, ცენტრალური ზონების განტვირთვას, პარკირების სივრცეების ეფექტიან გამოყენებასა და ქალაქში გადაადგილების სისტემის გაუმჯობესებას. ტარიფის ფორმირებისას ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული ხარჯებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე, პარკირების ადგილებზე არსებული მოთხოვნის ინტენსივობა, ტერიტორიული მდებარეობა, პარკირების მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის ზოგადი დონე და სხვა მუნიციპალიტეტის ანალოგიური გამოცდილება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაზღვრულია საერთო და სპეციალური პარკირების ადგილები. საერთო პარკირების სივრცე დაყოფილია A, B და C ზონებად, სადაც მოქმედებს დიფერენცირებული საფასური ზონების ცენტრალურობის, დატვირთვისა და სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობის შესაბამისად.

სპეციალური პარკირების ადგილებში საფასური განისაზღვრება დამატებითი რეგულაციებისა და მიზნობრივი გამოყენების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული საფასური წარმოადგენს პარკირების სისტემის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საფუძველს და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეფექტიან მართვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველად წარმოგიდგენთ: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების კორექტირებულ პროექტს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების ცვლილების პროექტს, მის მიღებასთან დაკავშირებულ განმარტებით ბარათს და განკარგულების პროექტს, რომლის საფუძველზეც ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

გთხოვთ განიხილოთ ზემოაღნიშნული და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღებიდან გამომდინარე ხარჯები დაფინანსდება შპს ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოდგენილი კანდიდატურა რჩება უცვლელი.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **31-31261118**
თარიღი: **21/04/2026**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

გიგზავნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის,ლევან ჟორჟოლიანის რეკომენდაციას რეაგირებისათვის.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

GOV 4 26 00012520

20/04/2026

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საკონსულტაციო დასკვნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა 2026 წლის 06 აპრილის №31-31260966 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურისა და პარკირების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

დადგენილების პროექტის სათაურისა და დანართების ტექსტის მიხედვით, პარკირებასთან დაკავშირებული რეგულაციები წესდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ყველა დასახლებისთვის, თუმცა №2 დანართში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე საერთო და სპეციალური ადგილები) მოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საპარკინგედ განსაზღვრული ადგილების ჩამონათვალიდან გამომდინარეობს, რომ საპარკინგე ადგილებისა და ზონების დადგენა, ასევე, დიფერენცირებული პარკირების საფასურის დაწესება ხდება მხოლოდ ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუცილებელია, პროექტში დაზუსტდეს, რომელი დასახლებებისთვის წესდება პარკირების რეგულაციები და სად დგინდება პარკირების საფასური. ამავე საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ-ის) 125^4 მუხლში 2026 წლის 1 მაისიდან ასამოქმედებელი ცვლილებები და ის გარემოებაც, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის ნორმა მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად აწესებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფასა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირებას. აღნიშნული უფლების აღსრულებისთვის კი საჭიროა საინფორმაციო დაფების/ნიშნების განთავსება, საპარკინგე ადგილების ჰორიზონტალური მონიშვნა, უსაფრთხო პარკირებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარება. ამდენად, პროექტზე განმარტებითი ბარათის ნაცვლად თანდართულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 20 მარტის წერილში, პროექტის ფინანსური დასაბუთების ნაწილში მოცემული მითითება - „პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას“, არამართებულია. აქვე შევნიშნავთ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ნორმატიული აქტის პროექტზე განმარტებითი ბარათის შედგენა სავალდებულოა მოხდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დადგენილების პროექტის პრეამბულაში უნდა დაზუსტდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პუნქტი. ასევე, აქტის გამოცემის საკანონმდებლო საფუძვლად აუცილებელია დამატებით მიეთითოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ (სასკ-ის) 125^4 მუხლი, რამდენადაც ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენის საფუძველს სწორედ ეს საკანონმდებლო ნორმა ადგენს.

ამავე პროექტის მე-7 მუხლის დებულება („დადგენილება ამოქმედდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე“) მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“. დადგენილებისა და საფასურის გადახდის ვალდებულების ამოქმედების ვადასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე გათვალისწინებულ იქნეს კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრული საკითხის აღსრულებისთვის საჭირო ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო დრო. ამასთან, დადგენილებაში მოცემული საფასურის გადახდის ვალდებულება ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს უნდა წარმოეშვათ გონივრულ ვადებში, მას შემდეგ, რაც დადგენილებით დაზუსტდება და საჯაროდაც გამოცხადდება საფასურის გადახდისა და მისი ადმინისტრირების დეტალური მექანიზმების თაობაზე.

№1 დანართის მე-2 მუხლი ერთპუნქტიანია და, ამდენად, პუნქტის დანომვრა საჭიროებას მოკლებულია. ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში მოცემული „პარკირების ოპერატორის“ განმარტება - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პარკირების სფეროს მართვის, ორგანიზების, კონტროლის ან/და ადმინისტრირების განხორციელების მიზნით დაფუძნებული ან შერჩეული პირი“, არ შეესაბამება ამავე დანართის მე-4 და მე-16 მუხლების პირველ პუნქტებს, რომელთა თანახმად მოცემული წესის დაცვის კონტროლსა და ამ სფეროს ადმინისტრირებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს შესაბამისი სამსახურის/სამსახურების ან/და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაძუფნებული ან შერჩეული იურიდიული პირების მეშვეობით. ამასთან, დანართის მე-4 მუხლი („პარკირების სფეროს მართვა“) მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავს და არ აზუსტებს, რომელი სამსახური ან პირი ახორციელებს პარკირების სფეროს მართვას. ამ კონტექსტში გაუგებარია დანართში „პარკირების ოპერატორის“ ტერმინის გამოყენებაც. დადგენილების პროექტით დასარეგულირებელი საკითხი, პირველ რიგში, დეტალურად და ზუსტად უნდა ადგენდეს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრული სფეროს მართვის სუბიექტებს, პარკირების საფასურის გადახდისა და სამართალდარღვევის გამოვლენისას განსახორციელებელი ღონისძიებების მექანიზმებს, მათ შორის, სპეციალური დაცული სადგომის (ე.წ. საჯარიმო სადგომის) მდებარეობას და ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაყვანის პირობებს.

№1 დანართის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის განმარტება - „პარკირების საფასური“ შინაარსობრივად არის გადასამუშავებელი, „უ“ ქვეპუნქტში „ავტოსატრანსპორტო საშუალების“ განმარტება კი („გზაზე მოძრავი ან გზაზე მოძრაობისთვის განკუთვნილი

მოწყობილობა, რომელიც ძრავას ან სხვა ძალის მეშვეობით გადაადგილდება;“) არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემულ, ანალოგიური ტერმინის განმარტებას („ავტოსატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი) – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად ან/და ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გზაზე ბუქსირებისათვის. ასევე, გადასამუშავებელია „ძ“ ქვეპუნქტში მოცემული განმარტება, „წ“ ქვეპუნქტში კი არ არის დაზუსტებული, რა ტერმინს განმარტავს წესი („დოკუმენტი, რომელიც წინამდებარე წესით დადგენილ ფარგლებში მძღოლს ანიჭებს უფლებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისარგებლოს პარკირების ადგილით განსაზღვრული ზონების შესაბამისად.“).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი საჭიროებს შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებას. ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის აღსრულებისა და კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელოს და ზუსტად განსაზღვროს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი და საქმის განმხილველი მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი. ამ კუთხით საყურადღებოა, რომ პროექტზე თანდართულ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 20 მარტის წერილში მითითებულია: „მერია, პარკირების სფეროს მართვას განახორციელებს, მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციის, კერძოდ შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ 433655822) მეშვეობით“, რის თაობაზეც დადგენილების პროექტის ტექსტში არ არის ინფორმაცია. უფრო მეტიც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს №17 დადგენილება „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” სასკ-ის 209^3 მუხლით დადგენილ სამართალდარღვევებზე (125^4 მუხლიც შედის) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილებას ანიჭებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს. რაც შეეხება შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“, ამ სამეწარმეო საზოგადოების წესდების მე-2 მუხლში მოცემული კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ფუნქციები პარკირების სფეროს საერთოდ არ მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გაუგებარია, რა გათვლებსა და შეფასებებს დაეფუძნა საკრებულო საფასურის განსაზღვრისას. მაგალითად, №4 დანართის მიხედვით, ტაქსებისთვის პარკირების საფასური, ზონის მიუხედავად, 24 საათის განმავლობაში შეადგენს 1 ლარს, ხოლო სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის 2 დღის საფასურია 5 ლარი, 10 დღის - 40 ლარი, 30 დღის - 100 ლარი და 365 დღის - 1000 ლარი, საინკასაციო მომსახურების ავტომობილებისთვის პარკირების საფასური 365 დღის განმავლობაში შეადგენს 1000 ლარს. სამწუხაროდ, არც განმარტებითი ბარათი და არც მერიის წერილი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დასაბუთებულად აიხსნას მითითებული ოდენობებით საფასურების დადგენის აუცილებლობა. აქვე, რედაქტირებას ექვემდებარება №3 დანართის „გ.გ“

ქვეპუნქტის შინაარსი იმ ნაწილში, სადაც მითითება ხდება, რომ 30-დღიანი პარკირების შეძენის შემთხვევაში, იგი მოქმედებს გადახდის მომენტიდან მომდევნო 9 დღის განმავლობაში.

პროექტზე თანდართული ფოტოები მისაღებია მხოლოდ საკითხის განხილვის ეტაპზე - მუნიციპალიტეტის ორგანოებში ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, თუმცა ნორმატიულ აქტზე მისი დართვა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის მართებული.

ამრიგად, წარმოდგენილი სახით დადგენილების პროექტის მიღება არ არის მიზანშეწონილი და პროექტით დასარეგულირებელი საკითხი საჭიროებს არსებით გადამუშავებას, მათ შორის, მოსაწესრიგებელია პარკირების საფასურის გადახდის მექანიზმისა და აღნიშნულის თაობაზე მოქალაქეთა წინასწარი ინფორმირებულობის, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული გვერდის/ელ.ბაზის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირისა და სპეციალური საჯარიმო ავტოსადგომის მოწყობის თაობაზე რეგულაციებიც.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი

ლევან ჟორჟოლიანი

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების, საფასურის, რეგულირების წესისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] მუხლის, 209[3] მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილების, საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი, დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე საერთო და სპეციალური ადგილები, დანართი №2 ის შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთის მიხედვით, დანართი №3 ის შესაბამისად.

მუხლი 4. დამტკიცდეს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობის საფასური დროის მონაკვეთების მიხედვით, დანართი №4 ის შესაბამისად.

მუხლი 5. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, დანართი №6-ის შესაბამისად.

მუხლი 7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის №14 დადგენილება. (სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016296 www.matsne.gov.ge 01/06/2017)

მუხლი 8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დანართი N1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი" (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ,,საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებისა და გზების ტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით.

2. წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას პარკირების რეგულირებისა და პარკირების სფეროს მართვის საკითხებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზების და კონტროლის განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებს.

3. წესი ვრცელდება ყველა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ჩერდება ან დგას ამ წესის შესაბამისად პარკირებისათვის გამოყოფილ ადგილებზე.

4. წესი, გარდა ამ წესის მე-2 მუხლის ,,ღ" ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლისა, არ ვრცელდება იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებსაც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოიყენებენ ,,ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების,

აგრეთვე ,,სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტობუსი - ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა გადასაყვანად და რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, 8-ს აღემატება;

ბ) გამყოფი ზოლი – კონსტრუქციულად გამოყოფილი გზის ელემენტი, რომელიც ყოფს მომიჯნავე სავალ ნაწილებს და არ არის განკუთვნილი მასზე ურელსო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის;

გ) გაჩერება – ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წინასწარგანზრახული შეწყვეტა 5 წუთამდე, ან უფრო მეტი ხნით, თუ ეს აუცილებელია მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის ან ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის. გაჩერებად არ ითვლება ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წინასწარგანზრახული შეწყვეტა ავტოსატრანსპორტო ნაკადში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების ან მარეგულირებლის მოთხოვნათა გამო;

დ) გზა - მოძრაობისათვის გახსნილი გზის ან ქუჩის მთელი ზედაპირი. გზას შეიძლება ჰქონდეს როგორც ერთი სავალი ნაწილი, ისე რამდენიმე, გამყოფი ზოლით მკვეთრად გამიჯნული ან სხვადასხვა დონეზე არსებული სავალი ნაწილები. ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს ტროტუარს, გვერდულას, გამყოფ ზოლსა და ველობილიკს;

ე) გზის სავალი ნაწილი (სავალი ნაწილი) – გზის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ურელსო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის (გარდა ტროტუარისა, გვერდულასი, ველობილიკისა და ქვეითთა ბილიკისა);

ვ) დამატებითი ინფორმაციის ნიშანი (დაფა) - საგზაო ნიშანი, რომელიც აზუსტებს ან ზღუდავს იმ საგზაო ნიშნის მოქმედებას, რომელთან ერთადაც გამოიყენება;

ზ) ველოსიპედის ბილიკი (ველობილიკი) – ველოსიპედით მოძრაობისთვის განკუთვნილი, შესაბამისი საგზაო ნიშნით აღნიშნული გზა ან გზის ნაწილი, რომელიც კონსტრუქციულად გამოყოფილია სხვა გზისაგან ან გზის სხვა ელემენტებისაგან;

თ) მძღოლი - ფიზიკური პირი, რომელიც მართავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას;

ი) პარკირება - დგომის ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის გამიზნულად შეწყვეტა, თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას ან ავტოსატრანსპორტო საშუალების დატვირთვა-გადმოტვირთვას;

კ) პარკირების ადგილი - დგომის მიზნით გამოყოფილი, შესაბამისი საგზაო ნიშნით და საგზაო მონიშვნით აღჭურვილი მიწა, შენობა, ნაგებობა ან მათი ნაწილი, სპეციალურად მოწყობილი

მოედანი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი გზა ან/და ტროტუარი;

ლ) პარკირების ოპერატორი/პარკირების სფეროს განმხორციელებელი პირი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პარკირების სფეროს მართვისა და ორგანიზების მიზნით შერჩეული ორგანიზაცია - შპს „ ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ ს/ნ 433655822;

მ) პარკირების პირობები – პარკირების დაშვება/ შეზღუდვა/აკრძალვა გარკვეული დროით, აგრეთვე გარკვეული პირობებით, პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი და პარკირების საფასური, ამ პირობების კომბინაცია ან რაიმე პირობები;

ნ) პარკირების საფასური – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული პარკირების ინდივიდუალური ადგილით სარგებლობისათვის დადგენილი საფასურის ოდენობა;

ო) პირი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი;

პ) საგზაო მონიშვნა – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ით განსაზღვრული, გზის სავალ ნაწილზე, საგზაო მოწყობილობის ელემენტებსა და საგზაო ნაგებობებზე არსებული ხაზი, ისარი და სხვა აღნიშვნა, რომლებიც ადგენს მოძრაობის წესს ან საგზაო მოძრაობის მონაწილეს აწვდის ინფორმაციას მოძრაობის რეჟიმის შესახებ;

ჟ) საგზაო მოძრაობა - გზაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან მის გარეშე მოძრაობისას ან განლაგებისას საგზაო მოძრაობის მონაწილეთა შორის წარმოქმნილი ურთიერთობები;

რ) საგზაო მოძრაობის მონაწილე - პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საგზაო მოძრაობაში, როგორც მძღოლი, მგზავრი ან ქვეითი;

ს) საგზაო ნიშანი – „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №1-ით განსაზღვრული, დადგენილი ფორმის მოწყობილობა გამოსახულებით ან წარწერით (მათ შორის, დასაშვებია ელექტრონული სახითაც), რომელიც საგზაო მოძრაობის მონაწილესაწვდის ინფორმაციას საგზაო პირობებისა და მოძრაობის რეჟიმის, დასახლებული პუნქტისა და სხვადასხვა ობიექტის შესახებ;

ტ) სამარშრუტო ავტოსატრანსპორტო საშუალება - გზაზე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი, დადგენილი მარშრუტით მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალება;

უ) ავტოსატრანსპორტო საშუალება – მექანიკური სატრანსპორტო საშუალება, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება გზაზე ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად ან/და ადამიანების გადასაყვანად ან ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების გზაზე ბუქსირებისათვის. ამ წესის მიზენისთვის ეს ტერმინი მოიცავს ასევე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სხვა სპეცტექნიკას.

ფ) საცნობი ნიშანი – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ან იურდიული პირის საკუთრებაში მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ამ წესის შესაბამისად გაცემული ნიშანი;

ქ) სპეციალური პარკირების ადგილი – ადგილი, სადაც პარკირება დაშვებული იქნება მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალური პირობებით;

ღ) სპეციალური საშვი – პარკირების ოპერატორის მიერ ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე გაცემული ვადიანი საშვი.

ყ) ტაქსი - დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი მსუბუქი ავტომობილი, რომლითაც ხორციელდება მგზავრის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა;

შ) ტროტუარი - გზის ელემენტი, რომელიც მიერთებულია სავალ ნაწილთან ან გამოყოფილია მისგან კონსტრუქციულად ან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

ჩ) ქვეითთა გადასასვლელი – სავალი ნაწილის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია ქვეითის გზაზე გადასასვლელად ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ც) ქვეითი - საგზაო მოძრაობის მონაწილე, რომელიც ფეხით გადაადგილდება ან გადასაადგილებლად გორგოლაჭებს, გორგოლაჭებიან დაფას ან სხვა მსგავს საშუალებას იყენებს. ქვეითთან გათანაბრებულია პირი, რომელსაც მიჰყავს საბავშვო ეტლი ან სავარძელ-ეტლი ან/და სხვა მცირე ზომის ავტოსატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, აგრეთვე ველოსიპედის, მოპედის ან მოტოციკლის ქვეითად გადამყვანი პირი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ - ეტლით გადაადგილდება;

ძ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულული პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;

მუხლი 3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება დაიშვება პარკირების ადგილებზე, ასევე ყველა იმ ადგილზე სადაც არ არის გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო ნიშანი ან გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო მონიშვნა, ან ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აკრძალვა.

2. პარკირების ადგილები დატვირთვის მიხედვით იყოფა სხვადასხვა დანიშნულების ზონებად, დანართი N2 შესაბამისად.

3. პარკირების ფასიან ადგილებზე, უფასო პარკირება დასაშვებია იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის, რომელიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გამოიყენება:

ა) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან ლიკვიდაციისათვის;

ბ) სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის;

გ) ნებადართული სარემონტო ან სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის;

დ) დაგვა-დასუფთავებისთვის;

ე) ინკასაციისთვის;

ვ) ამ წესის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის;

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის ა-ვ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სატრანსპორტო საშუალებებისათვის პარკირების ადგილებზე უფასო ან/და დაყენების ხერხის დარღვევით პარკირება დასაშვებია იმ დროით, რომელიც საჭიროა შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად.

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პარკირების ადგილების განსაზღვრა ხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ბ) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები:

გ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;

დ) ავტოსატრანსპორტო ნაკადის ინტენსივობა;

ე) ეკოლოგიური მდგომარეობა;

ვ) გზის გამტარუნარიანობა;

ზ) საზოგადოების სხვა ინტერესები.

მუხლი 4. პარკირების სფეროს მართვა

1. პარკირების სფეროს მართვა ხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს ,,ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ 433655822) მეშვეობით.

2. პარკირების სფეროს სამართავად გადაცემის პირობებს ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. გაჩერების და დგომის წესები

სატრანსპორტო საშუალების გაჩერების და დგომის წესები განისაზღვრება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით.

მუხლი 6. პარკირების წესები

1. პარკირების ადგილის მომიჯნავე, მოსაზღვრე ტროტუარზე პარკირება აკრძალულია. აღნიშნული აკრძალვა მოიცავს როგორც პარკირების ადგილის მომიჯნავე, მოსაზღვრე ტროტუარის მონაკვეთს, ისე მთლიანად ტროტუარს, თუ საგზაო ნიშნით, აგრეთვე შესაბამისი საგზაო მონიშვნით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. სპეციალური პარკირების ადგილზე შესაძლებელია მხოლოდ იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, ვისთვისაც განკუთვნილია ეს პარკირების ადგილი.

მუხლი 7. პარკირების ორგანიზება

1. პარკირების ადგილზე, პარკირება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და ამ წესის შესაბამისად.

2. პარკირება დაიშვება, თუ არ არის გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო ნიშანი ან გაჩერების/დგომის აკრძალვის საგზაო მონიშვნა, ან ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აკრძალვა.

3. პარკირება, როგორც წესი, დაიშვება სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭების, ნარჩენების შემკრები კონტეინერის განთავსების ადგილიდან არანაკლებ 2 მეტრის რადიუსის დაშორებით.

4. ადგილები, სადაც პარკირება აკრძალულია, აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი საგზაო ნიშნებით ან/და საგზაო მონიშვნებით, ასევე ამკრძალავ ნიშანს შესაძლებელია ახლდეს სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის შესახებ მონიშვნა.

5. პარკირების ადგილები აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი საგზაო ნიშნებით, საგზაო მონიშვნებით და დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფებით), ასევე საგზაო ნიშანს შესაძლებელია ახლდეს სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, თვლების ბლოკირების ან სხვა შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენების შესახებ მინიშნებები.

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტროტუარზე ავტოსატრანსპორტო საშუალების გაჩერება აკრძალულია, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ არ არის განსაზღვრული პარკირების ადგილად.

7. ტროტუარები, სადაც პარკირება ნებადართულია, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგზაო ნიშნებით და საგზაო მონიშვნებით.

8. სადღესასწაულო და მასობრივი ღონისძიებების გამართვის დროს, საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან რაიმე სხვა მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ცალკეულ ადგილებში, გარკვეული დღეების, დღე-ღამის გარკვეული მონაკვეთების განმავლობაში ცალკეული სახეობის ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის აკრძალოს/დაუშვას პარკირება ან/და დააწესოს პარკირების სპეციალური პირობები.

მუხლი 8. სპეციალური პარკირების პირობების განსაზღვრა

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს სპეციალური პარკირების ადგილები და პირობები:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის;

ბ) ტაქსების, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანზიტით შემომავალი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანით დაკავებული სატრანსპორტო საშუალებების და ტურისტული მარშრუტებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის;

გ) ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის;

დ) საწვავის, რადიაქტიული და ტოქსიკური ნივთიერების, გაზისა და სხვა აალებადი ნივთიერებების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების (სპეცტექნიკის) პარკირებისათვის;

2. ამ წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საცნობი ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის განსაზღვრული პარკირების ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი და აღჭურვილი შესაბამისი საგზაო ნიშნებით და საგზაო მონიშვნებით. ასეთი პარკირების ადგილზე შეიძლება მხოლოდ ამ წესით განსაზღვრული საცნობი ნიშნის მატარებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება.

მუხლი 9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერების წესი

1. აკრძალულია ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ და მეორე ზოლში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება ათ წუთზე მეტი დროით, თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას.

2. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ ზოლში ნებადართულ იქნეს მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის/მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის/მოადგილის, საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება.

3. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მეორე ზოლში ნებადართულია მხოლოდ მერიის/საკრებულოს თანამშრომელთა და საკრებულოს წევრთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება.

4. აღნიშნულ ზოლებში დგომა/გაჩერების უფლების მქონე ავტომობილებზე გაიცემა დადგენილი ნიმუშის საშვი.

მუხლი 10. პარკირების საფასურის გადახდა

1. ფასიან პარკირების ადგილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება შეიძლება საფასურის გადახდით.

2. პარკირების ადგილზე პარკირების საფასურის გადახდის ვალდებულება ეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს ან/და მესაკუთრეს, რომელმაც პარკირების საფასური უნდა გადაიხადოს ამ დადგენილების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს მის მიერ საფასურის გადახდა.

3. პარკირების საფასურის გადახდისას მიეთითება ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი და ნიშნები), შიდა ტრანზიტი, ტრანზიტული ნომერი ან „TES" ნომერი.

4. პარკირების საფასურის, პარკირების წესების დარღვევისათვის, ასევე პარკირების საფასურის გადაუხდელობისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების გადახდა განხორციელდეს სწრაფი გადახდის აპარატის (Pay აპარატების) გამოყენებით ან პარკირების ოპერატორის მიერ შერჩეულ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკში.

4. პარკირების საფასურის გადახდა ხორციელდება:

ა) პარკირების ტალონის შეძენით;

ბ) სწრაფი გადახდის აპარატის გამოყენებით;

გ) ბანკომატის საშუალებით;

დ) საბანკო ტრანზაქციით პარკირების ოპერატორის მიერ შერჩეულ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკში;

ე) ელექტრონული გადახდის სხვა საშუალებებით.

5. ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური გადახდილად ითვლება გადახდილი პარკირების საფასურის ვადის ამოწურვამდე. პარკირების საფასურის წინასწარ გადახდის შემთხვევაში გადახდის დღედ მიიჩნევა ანგარიშსწორების განხორციელების დღე, ხოლო მისი აქტივაცია (ვადის ათვლა) მოხდება წინა პერიოდის პარკირების საფასურის ვადის ამოწურვისთანავე.

6. ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ, პარკირების საფასურის გადახდის შემდგომ, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე უფლებამოსილია პარკირების საფასურის გადატანის შესახებ მიმართოს პარკირების ოპერატორს, რა დროსაც პარკირების ოპერატორი ვალდებულია შესაბამისი ცვლილება ასახოს მიმართვისთანავე.

მუხლი 11. პარკირების წესების დარღვევა

1. წინამდებარე წესის/პირობების დარღვევით ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირებისას (მათ შორის, პარკირების საფასურის გადახდის გარეშე დგომა) დამრღვევს, დაეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" ან „დგომა აკრძალულია"

მოთხოვნის დაუცველობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, რომელიც ექვემდებარება დაჯარიმებას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე, შესაბამისი ოქმის შევსებას ახორციელებს პარკირების სფეროს განმახორციელებელი პირი – პარკინგის ოპერატორი. (წარმომადგენლის მეშვეობით).

4. პარკირების ოპერატორი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევი არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებასთან ან უარს აცხადებს სატრანსპორტო საშუალების ადგილიდან გაყვანაზე ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაიყვანოს სპეციალურ დაცულ სადგომზე ან სატრანსპორტო საშუალების თვლებს სპეციალური საშუალებით გაუკეთდეს ბლოკირება.

5. პარკირების ოპერატორი ვალდებულია, სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანისას ავტომანქანის დაზიანების შემთხვევაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

მუხლი 12. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების გასაჩივრება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების გასაჩივრება ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სპეციალური საშვის გაცემა და სპეციალური საშვის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება

1. სპეციალური საშვი დამაგრებული უნდა იყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირისთვის შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.

2. სპეციალური საშვის მისაღებად „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელი/მოვალეობის შემსრულებელი, აგრეთვე „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წერილობითი ფორმით მიმართავის საფუძველზე, პარკირების სფეროს განმახორციელებელი პირი ვალდებულია გასცეს სპეციალური საშვი.

3. პარკირების ოპერატორზე დელეგირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ვერ განხორციელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც სარგებლობენ ამ წესის მე-2 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშვით.

4. სპეციალური საშვის ფორმას და გაცემის წესს ამტკიცებს პარკირების სფეროს განმახორციელებელი პირი.

5. პარკირების ოპერატორი ვალდებულია, საეჭვო სპეციალური საშვის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 14. დიპლომატიური სანომრე ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირება

1. 1961 წლის 18 აპრილის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ვენის კონვენციის შესაბამისად, დიპლომატიურ აგენტს აქვს ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტი.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, პარკირების ოპერატორს, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა, ეკრძალება დიპლომატიური სანომრე ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალების თვლების ბლოკირება, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანა ან მისი სხვაგვარი გადაადგილება.

მუხლი 15. საცნობი ნიშნის გაცემა

1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს პარკირების ოპერატორს და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი. პარკირების ოპერატორი უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს პარკირების ოპერატორს და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა №IV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. პარკირების ოპერატორი უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს პარკირების ოპერატორს და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრული ფორმა

№IV- 50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა, რომლის ველშიც „ქმედუნარიანობის შეზღუდვის კატეგორია და ხარისხი“ დადგინდება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს გადაადგილების უნარის შეზღუდვის პირველი, მეორე ან მესამე ხარისხი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცემა ერთი საცნობი ნიშანი.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცემა იმ რაოდენობის საცნობი ნიშანი, რამდენი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებაც მას აქვს საკუთრებაში.

6. საცნობი ნიშანი გაიცემა უსასყიდლოდ ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად – 2 წლის ვადით, მე-2 პუნქტის შესაბამისად – არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სრულწლოვანობამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად – სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე იურიდიული პირის რეგისტრაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ან იმგვარი გარემოების დადგომამდე, რომლის არსებობისას საშვი არ გაიცემოდა.

7. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა.

8. საცნობი ნიშანი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ ან/და სატრანსპორტო საშუალებისათვის, რომლისთვისაც ის გაიცა.

9. საცნობი ნიშნის მფლობელის მიერ პარკირების ოპერატორთან წერილობითი ფორმით ახალი საცნობი ნიშნის აღების თაობაზე დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ პარკირების ოპერატორი ჩათვლის საჭიროდ, მფლობელი/არასრულწლოვანი/შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია პარკირების ოპერატორთან წარადგინოს ხელახლა, რის შემდეგაც პარკირების ოპერატორის მიერ ახალი საცნობი ნიშანი გაიცემა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

10. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს პარკირების ოპერატორს.

11. საცნობი ნიშნის დაკარგვისას, მისი აღდგენის თხოვნით, პარკირების ოპერატორს, წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის მასვე ეკისრება პარკირების ოპერატორის მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით.

12. თუ საცნობი ნიშანი ამ წესის შესაბამისად არ იქნება განთავსებული სატრანსპორტო საშუალებაზე და მოხდება ამ სატრანსპორტო საშუალების პარკირება შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, აღნიშნული შემთხვევა განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირებად.

13. პარკირების ოპერატორი ვალდებულია საეჭვო საცნობი ნიშნის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება.

14. საცნობი ნიშნის მოქმედება ვადამდე წყდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საცნობი ნიშანი მიღებულია არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე;

ბ) საცნობი ნიშნის მფლობელმა საცნობი ნიშანი გადასცა სხვას;

გ) სხვა ისეთი გარემოების აღმოჩენის ან გამოვლენისას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საცნობი ნიშანი არ გაიცემა.

მუხლი 16. კონტროლი და პასუხისმგებლობა

1. ამ წესის დაცვის კონტროლს ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით.

2. სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ან მესაკუთრის პასუხისმგებლობა განისაზღვრება კანონმდებლობით.

3. სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის შემთხვევებს/პირობებს და სადგომზე შენახვის საფასურის ოდენობას ადგენს შესაბამისი პარკირების ოპერატორი ამ მომსახურებებისათვის გაწეული ხარჯების მიხედვით.

4. სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალება სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ან/და მესაკუთრის მიერ შესაძლებელია გაყვანილ იქნეს სპეციალური დაცული სადგომიდან ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯების გადახდისთანავე. გადახდა უნდა დადასტურდეს შესაბამისი საბუთით. მძღოლმა ან/და მესაკუთრემ სატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცულ სადგომიდან გაყვანისას პარკირების ოპერატორს აგრეთვე უნდა წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის საბუთი.

მუხლი 17. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპარკინგე ადგილებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურის და პარკირების წესების დარღვევისათვის, ასევე პარკირების საფასურის გადაუხდელობისათვის ,,საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის“ 125^4 მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევისთვის გადახდის ვალდებულება განისაზღვროს 2026 წლის 01 აგვისტოდან.

2. 2026 წლის 01 ივლისამდე პარკირების ოპერატორმა უზრუნველყოს მოსახლეობის საჯარო ინფორმირება ბეჭდური მედიის საშუალებით და ინფორმაციის გავრცელების სხვა მასობრივი საშუალებებით აღნიშნული დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

3. 2026 წლის 20 ივლისამდე განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის პარკირების ადგილების ორგანიზება/მოწყობა, საგზაო და საინფორმაციო ნიშნების განთავსება.

4. 2026 წლის 1 აგვისტომდე პარკირების ოპერატორმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს :

ა) საჯარიმო საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის ფორმა;

ბ) გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის ფორმა;

გ) სააღსრულებო ფურცლის ფორმა;

დ) სპეციალური საშვის ფორმა.

დანართი N2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების საპარკინგე საერთო და სპეციალური ადგილები

N	პარკირების ადგილის დასახელება	უძრავი ქონების (მიწის) საკადასტრო კოდი	მისამართი	ფართობი	საპარკინგე ადგილების განსაზღვრა					
					(A) ზონა	(B) ზონა	(C) ზონა	ტაქსების თვის	შშმ პირთათვის	სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკის ათვის
1	A001	27.06.56.666	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა;		√			√	√	
2	A002	27.06.51.233	ქ. ლანჩხუთი ჟორდანია, 126, მიმდებარედ		√			√	√	
3	A003	27.06.56.697	ქ. ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქუჩა. (ტროტუარის) მიმდებარედ		√				√	
4	A004	27.06.56.820	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა; მიმდებარედ		√			√	√	
5	A005	27.06.51.012	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა;		√				√	
6	A006	27.06.52.580	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა;		√				√	
7	A007	27.06.56.014	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა;		√				√	
8	A008	27.06.51.393	ქ. ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქუჩა, 134ა		√				√	
9	A009	27.06.56.668	ქ. ლანჩხუთი, კვირკველიას ქუჩა			√			√	
10	A010	27.06.51.038	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას 126 მიმდებარედ		√				√	

11	A011	27.06.51.329	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას 126 მიმდებარედ		√				√	
12	B001	27.06.56.599	ქ. ლანჩხუთი, ქუჩა თავისუფლება			√			√	
13	B002	27.06.52.603	ლანჩხუთი გორგასლის ქუჩა-ძველი პოლიციის შენობიდან კვირკველიას ქუჩის კვეთამდე			√			√	
14	B003	27.06.52.672	ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქუჩა			√			√	
15	B004	27.06.52.581	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა;			√			√	
16	C001	27.06.52.648	ლანჩხუთი, ილიკო მორჩილაძის ქუჩა (. 2-დან ზენაიშვილის ქ. 1-მდე)				√	√	√	

დანართი N3

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთის მიხედვით

დადგინდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საფასური, ზონისა და დროის მონაკვეთის მიხედვით:

ა) ,,A“ ზონის საზღვრებში, დღის 08-19 საათის მონაკვეთში, პარკირების ღირებულება განისაზღვროს, 1 საათი - 0.50 ლარის ოდენობით

ბ.) „B“ ზონის საზღვრებში დღის 08-19 საათის მონაკვეთში პარკირების ღირებულება განისაზღვროს 1 საათი - 0.30 ლარის ოდენობით.

გ) ,,A“ და ,,B“ ზონის საზღვრებში არსებული პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საფასური განისაზღვროს:

გ.ა) 1 დღე – 3 (სამი) ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 2 კალენდარული დღის განმავლობაში);

გ.ბ) 7 დღე – 5 (ხუთი) ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 6 კალენდარული დღის განმავლობაში);

გ.გ) 30 დღე – 10 (ათი) ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 9 კალენდარული დღის განმავლობაში);

გ.დ) 6 თვე – 20 (ოცი) ლარი (გადახდის მომენტიდან მომდევნო 182 კალენდარული დღის განმავლობაში) ;

გ.ე) 1 (ერთი) წელი – 30 (ოცდაათი) ლარი (გადახდის მომენტიდან, შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე);

დ) „C“ ზონის საზღვრებში დაწესდეს პარკირების უფასო რეჟიმი.

დანართი N4

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობის საფასური დროის მონაკვეთების მიხედვით

დადგინდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობის საფასური დროის მონაკვეთების მიხედვით:

ა) ტაქსებისათვის:

დღე (24 საათი) – ერთი ლარი;

ბ) სატვირთო ავტომობილებისა და სპეცტექნიკისათვის:

ბ.ა) 1 დღე – 5 (ხუთი) ლარი;

ბ.ბ) 10 დღე – 40 (ორმოცი) ლარი;

ბ.გ) 30 დღე – 100 (ასი) ლარი;

ბ.დ) 365 დღე – 1000 (ათასი) ლარი.

გ) საინკასაციო მომსახურების ავტომობილებისათვის: 365 დღე – 1000 (ათასი) ლარი;

დანართი N5

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა

საცნობი ნიშანი არის კვადრატის ფორმის 80X80 მმ (კუთხეებში მომრგვალებული), ლურჯ ფონზე (კიდეებზე თეთრი ზოლით) განთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის აღმნიშვნელი თეთრი ფერის სიმბოლოთი, ასევე ავტომანქანის ნომრისა და საცნობი ნიშნის მოქმედების ვადის აღმნიშვნელი რეკვიზიტებით.

შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ: 433655822) ნაწილი I. საჯარიმო ქვითარი მინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 000000 ბ. ა. 1. შედგენის თარიღი: _____ 2. შედგენის ადგილი: _____ (რიცხვი, თვე, წელი) 3. შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი: _____ _____ _____ _____ _____ _____ 4. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მონაცემები: _____ _____ _____ (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის	ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის ყუა № 000000 ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში. 1. _____ _____ (გადამხდელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი; დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი) 2. _____ _____ (გადამხდელის მისამართი) 3. _____ _____ (ჯარიმის ოდენობა) 4. _____

რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა); იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი) 5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, არსი: _____ _____ _____ _____ _____ 6. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____ მუხლის _____ _____, რაც ითვალისწინებს ჯარიმას _____ ლარის ოდენობით. 7. მოწმე (ასეთის არსებობის შემთხვევაში): _____ _____ (მოწმის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები (პირადი ნომერი, სახელი და გვარი), მისამართი (რეგისტრაციისა და სხვა) 8. დამრღვევის ახსნა-განმარტება: _____ _____ _____ _____ (ახსნა-განმარტების არსებობისას მიეთითება მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა და იმ პირის	_____ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი, ნაწილი) 5. _____ _____ (სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი) 6. _____ _____ (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი) 7. მიმღები მოლარე:_____ _____ (ხელმოწერა) 8. შემომტანი:_____ _____

თანამდებობა, სახელი და გვარი, რომელმაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება) 9. მიმღები მოლარე: _____ _____ _____ _____ (ხელმოწერა) (თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი) მოწმე ან სხვა პირი: _____ _____ ოქმის შემდგენელი: _____ (ხელმოწერა) (ხელმოწერა) სამართალდამრღვევი: _____ (ხელმოწერა) ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა: _____ _____	(ხელმოწერა) ბ.ა. თარიღი: _____ _____ (რიცხვი, თვე და წელი) საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; ისაუბროს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მას უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქუჩა №26).

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^4-ე მუხლის საფუძველზე შედგენილი საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უნდა განხორციელდეს სახაზინო კოდზე: 300063255.

საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიერ ოქმზე ხელის მოუწერლობა და მის ჩაბარებაზე უარის თქმა არ ათავისუფლებს სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებებისაგან.

დამკვეთი:	დამამზადებელი:
მისამართი:	სემგს-ს რეგისტრაციის №

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2026 წლის მაისი

ქ. ლანჩხუთი

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106[1]–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

ცნობა

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2026 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2026 წლის მაისი
ქ. ლანჩხუთი

,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.112.016520) 1-ლი მუხლის ,,ა“ პუნქტით დამტკიცებულ N1-ლ დანართში ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესში“ შევიდეს ცვლილება და დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 209^3, 51^3, 53^3, 55-ე, 55^3, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე–35-ე მუხლებით, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 46-ე მუხლით და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური, გარდა საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 125^4 პუნქტის, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 239-ე მუხლის 14^1 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**